წყალტუბოს
მუნიციპალიტეტი

საგადახდო მოთხოვნა #00014

(დამტკიცებული ხაზინაში)

სახაზინო კოდი	05 01 01	დასახელება	სპორტულ ღონისძიებათა დაფინანსება			
ვალდებულების #	0027	მოთხოვნის საფუძველი	მიღება-ჩაბარების აქტი; უნომრო; 07/11/2016		0	
საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	2.2.10.12	თანხა ლარებში	220.00	თანხა სიტყვით	ორასოცი ლარი	
განმკარგავი საბიუჯეტო ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი			221274546			
დასახელება	თვითმმართველი ერთეული წყალტუბოს მუნიციპალიტეტი					
მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი			221284857			
დასახელება	შპს შპს რესტორანი თერნალი					
მიმღების ბანკის კოდი			BAGAGE22			
დასახელება	ქ.თბილისი,სს "საქართველოს ბანკი" (საანგ. ცენტრი)					
ანგარიშის #	GE61BG0000000298449700			საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი		
გადახდის დანიშნულება	სპორტული ღონისძიებების ხარჯები (მიმდინარე წლის ხარჯი)					

მოთხოვნის დამატება:	ირმა ტოგონიძე	18/11/2016 16:09
მოთხოვნის დამოწმება:	გიორგი კრავეიშვილი	18/11/2016 16:10
მოთხოვნის გაგზავნა middle-ოფისში:	გიორგი კრავეიშვილი	18/11/2016 16:11
მოთხოვნის გაგზავნა ხაზინაში middle-ოფისიდან:	გიორგი კრავეიშვილი	18/11/2016 16:11
მოთხოვნის მიღება:	ლალი ჩუბინიძე	18/11/2016 16:31
განკში გაიგზავნა:		18/11/2016 16:41

GEORGIA STATE TREASURY 1995

18/11/2016

ტრანზაქცია
განხორციელებულია

1535

დასკვნა

შპს „რესტორანი თერნალი“-ის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 04 ნოემბერს გაფორმებული №198 ხელშეკრულების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ

ქ. წყალტუბო 14.11.2016

ES 21 18

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა ვასილ კიკალიშვილმა, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის - კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის რიმა მარგიანის 2016 წლის 11 ნოემბრის №5098 წერილი, შპს «რესტორანი თერნალი»-სათვის, ამ უკანასკნელის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 04 ნოემბერს გაფორმებული №198 ხელშეკრულების შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და შესაბამისი თანხის ანაზღაურების შესახებ.

ზემოაღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2016 წლის 04 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს - კონსტანტინე მამისეიშვილსა და შპს «რესტორანი თერნალი»-ის შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №198 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეთათვის სარესტორნო კვებითი მომსახურების შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს **220** ***(ორასოცი)*** **ლარს.** შეთანხმების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 05 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი.

2016 წლის 07 ნოემბერს შპს „რესტორანი თერნალი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №198 -ით ნაკისრი ვალდებულებების (ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეთათვის სარესტორნო კვებითი მომსახურება) შესრულების შესახებ №11799 წერილი, რომლის საფუძველზეც ითხოვს გაწეული მომსახურების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურებას.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 24 მაისის №31 608 ბრძანებით შექმნილი ჯგუფის (გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - რიმა მარგიანი, ამავე სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი - ლია გუგუსიანი, წამყვანი სპეციალისტები - სოფიო კიკნაძე, ნონა ბადირეიშვილი და მთავარი სპეციალისტი - ლია გიორგობიანი) სხდომის ოქმის საფუძველზე, ამავე ჯგუფსა და შპს ,,რესტორანი თერნალი“-ს შორის 2016 წლის 07 ნოემბერს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, საერთო თანხით ***220 (ორასოცი) ლარი.***

გამომდინარე იქედან, რომ შპს «რესტორანი თერნალი»-ის მიერ 2016 წლის 04 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული №198 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობის დაცვით, გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2016 წლის 07 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს ,,რესტორანი თერნალი“-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 24 მაისის №31 608 ბრძანებით შექმნილ ჯგუფს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისობაშია 2016 წლის 04 ნოემბერს №198 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შესრულებული მომსახურეობის ღირებულება შეადგენს *220 (ორასოცი) ლარს.*

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

წამყვანი სპეციალისტი: ვასილ კიკალიშვილი

შპს „რესტორანი თერნალი“

ქ. წყალტუბო, ქუთაისის ქუჩა №2

№ 07

7 ნოემბერი 2016 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში
შემოსავლის № 11799/31
„ 7 ” 11 2016 წ.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ კონსტანტინე მამისეიშვილს

ბატონო კონსტანტინე,

2016 წლის 4 ნოემბერს ჩვენს შორის გაფორმებულია №198 ხელშეკრულება, რომელიც ეხება ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეებისათვის სარესტორნო მომსახურების უზრუნველყოფას (10 პერსონაზე). მოგახსენებთ, რომ ჩემს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

გთხოვთ, მოახდინოთ ანგარიშსწორება ხელშეკრულების შესაბამისად.

შპს „რესტორანი თერნალი“

დირექტორი: რ. თევდორაძე

11799

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანამშრომელთა ჯგუფის

სხდომის ოქმი

ქ. წყალტუბო 07.11.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ: ჯგუფის უფროსი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი რიმა მარგიანი, ამავე სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსი ლია გუგუსიანი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტი ნონა ბადირეიშვილი, სოფიო კიკნაძე და ამავე სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლია გიორგობიანი - ჯგუფის მდივანი.

დღის წესრიგი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „რესტორანი თერნალი"-ის შორის **2016** წლის **04** ნოემბრის **№198** ხელშეკრულების გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღების შესახებ.

მოისმინეს:წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის წამყვანი სპეციალისტის სოფიო კიკნაძის ინფორმაცია, შპს „რესტორანი თერნალი"-ის მიერ **2016** წლის **04** ნოემბრის **№198** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესახებ, კერძოდ: **05** ნოემბერს მოხდა ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეთათვის სარესტორნო კვებითი მომსახურეობა (10 პერსონალზე). საერთო თანხით 220 (ორასოცი) ლარი.

მანვე აღნიშნა, რომ აღნიშნული კომპანიის მიერ წარმოდგენილია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვეს: ჯგუფის უფროსმა რიმა მარგიანმა.

დაადგინეს: მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული № 198 ხელშეკრულების ფარგლებში, შპს „რესტორანი თერნალი“-ის მიერ განხორციელებული მომსახურეობის მიღება და შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის შედგენა.

მომხრე-5, წინააღმდეგი-0.

ჯგუფის უფროსი: რიმა მარგიანი

ჯგუფის წევრები: ლია გუგუსიანი

სოფიო კიკნაძე

ნონა ბადირეიშვილი

სხდომის მდივანი: ლია გიორგობიანი

მიღება-ჩაბარების
ა ქ ტ ი

ქ. წყალტუბო 7 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, შპს „რესტორანი თერნალი“ დირექტორი როლანდი თევდორაძის (შემდგომში „მიმწოდებელი“) და მეორეს მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირების - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის **რიმა მარგიანის**, ამავე სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების უფროსის **ლია გუგუსიანის**, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საქმსახურის მთავარი სპეციალისტის **ლია გიორგობიანის**, წამყვანი სპეციალისტების **ნონა ბადირეიშვილის** და **სოფიო კიკნაძის** სახით, ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 4 ნოემბერს დადებული №198 ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინეთ ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეებისათვის სარესტორნო მომსახურების მიღება-ჩაბარება, ღირებულებით 220 (ორასოცი) ლარი.

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შპს „რესტორან თერნალს“, ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

ჩააბარა		ჩაიბარა	
შპს „რესტორანი თერნალი“	ჯგუფის უფროსი:		რიმა მარგიანი
როლანდი თევდორაძე	წევრები:		ლია გუგუსიანი
			ნონა ბადირეიშვილი
			სოფიო კიკნაძე
	მდივანი:		ლია გიორგობიანი

ხელშეკრულება №198
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო

4 ნოემბერი 2016 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილი სახით და მეორე მხრივ, შპს "რესტორანი თერნალი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის როლანდი თევდორაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ზურაბ ბადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი კალათბურთის ტურნირის მონაწილეებისათვის სარესტორნო მომსახურების შესყიდვა (დანართის შესაბამისად);

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (CPV 55300000);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 220 (ორასოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების აქტზე "შემსყიდველის" მხრიდან ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება მისამართზე: ქ. წყალტუბო, ქუთაისის ქუჩა №2.

6.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის“ წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:
შპს "რესტორანი თერნალი"
მის: წყალტუბო, ქუთაისის ქუჩა №2
ს/ს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა: #GE61BG0000000298449700
ს/კოდი: 221284857

მუნიციპალიტეტის გამგებელი
კონსტანტინე მამისეიშვილი
ბ. ს.

დირექტორი
როლანდი თევდორაძე
ბ. ა.

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	პური	3	2	6
2	წყალი	10	1,50	15
3	მჭადი	10	0,70	7
4	ხაჭაპური	6	4	24
5	ყველი	3	3	12
6	კიტრი-პომიდორის სალათი	3	4	12
7	ჩაშუშული	5	8	40
8	წიწილა	2	22	44
9	კუპატი	4	7	28
10	ოჯახური	4	8	32
ჯამი:				220 ლარი

შპს „რესტორანი თერნ̣ალი“

დირექტორი: რ. თევდორაძე